

**Archpriest Pkhakadze – the Disciple of the Grand Inquisitor:
Apocalypse, Power and Religion in the Short Story *The Drought*
by Aleksandre Kutateli**

**დეკანოზი ფხაკაძე – დიდი ინკვიზიტორის მოწაფე:
აპოკალიფსი, ძალაუფლება და რელიგია ალექსანდრე
ქუთათელის მოთხრობაში „გვალვა“**

Merab Ghaghanidze
University of Georgia
(Georgia)

მერაბ ღაღანიძე
საქართველოს უნივერსიტეტი
(საქართველო)

Abstract:

The Drought (1927), a short story by Georgian writer Aleksandre Kutateli (1898-1982), draws a picture of one of the regions of Georgia at the beginning of the twentieth century when the country was a part of the Russian Empire and the revolutionary unrest was gradually stirring up there.

The story describes (the last, enlarged version of the short story was published in 1974) a Georgian village where the drought and the epidemic outbreak is raging, ruthlessly destroying the plants, the animals and the people. Such state of affairs inspires apocalyptic fears and feelings among the village residents.

The characters in the story fall under two categories: the people with religious sentiments and apocalyptic expectations, on the one hand, and the characters with a revolutionary spirit, who plan to change the existing order in state and are getting ready to establish a new political order, on the other hand. As the epilogue of the story tells, it is the young revolutionary forces that achieve victory when the communist government is already established in the country.

One of the protagonist of the story is an archpriest named Iakob Pkhakadze, a well-educated clergyman with no personal belief, who uses the religious feelings of the others in order to gain power over the people and to control them. This character seems to understand religion the same way as the Grand Inquisitor from the novel *The Brothers Karamazov* (1880) by Fyodor Dostoevsky (1821-1881) did. It seems plausible to suggest that Kutateli, while perceiving Dostoevsky's Inquisitor and creating his own image of archpriest Pkhakadze, was inspired by the work of Vasily Rozanov (1856-1919), namely *The Legend of the Grand Inquisitor by F. M. Dostoevsky* (1894), as this book had a notable impact on the twentieth-century modernist writers in general, and on the Georgian modernists in particular.

Keywords: Apocalypse, Power, Religion, Revolution

საკვანძო სიტყვები: აპოკალიფსი, ძალაუფლება, რელიგია, რევოლუცია

ალექსანდრე ქუთათელის (1898-1982) მოთხრობაში „გვალვა“ (1927) მოქმედება ხდება იმერულ სოფელში, კარისმერეთში, 1910 წელს. გარემო გაჩანაგებულია: „გვალვა კვლავ მძვინვარებდა“ (ქუთათელი, 1974, გვ. 5)¹, მიწა დამშრალა და გაბერწებულა, ფრინველები და საქონელი გაწყვეტის პირასაა, სხვადასხვა სნეულება მუსრს ავლებს სოფლის მცხოვრებთ. ნადგურდება და იღუპება ყოველივე ცოცხალი: მცენარეები, ცხოველები, ადამიანები. სახლებს შესევია მოულოდნელად გაჩენილი ქვეწარმავლები და კალიები. უბედურების ზომები უფრო და უფრო მატულობს: თუ თავიდან ფეხშიშველა ყმაწვილს, ტყეში შეშის მოსაჭრელად წასულს, სასიკვდილოდ დაგესლავს გველი, თანდათანობით ვრცელდება მითქმა-მოთქმა, რომ ჭალაში თვალი მოუკრავთ უზარმაზარი, წითელი და რქოსანი, ჯაგარაშლილი ურჩხულისათვის, რომელიც ფათერაკით ემუქრება სოფელს („მასეთი ურჩხული, [...] არავის არასოდეს არ უნახავს ჩვენს მხარეში“ – ქუთათელი, 1974, გვ. 12); ზეცად ცეცხლმოდებული ბორბალი დაგორავს ავის მომასწავებლად. ამავე დროს, მომაკვდინებელი ხიფათის წინაშე აღმოჩე-

ნილი ადამიანები გულქვა და დაუნდობელი ხდებიან ერთმანეთის მიმართ, თვით ახლობელთა მიმართაც: დედაც კი აღარ ზოგავს საკუთარ შვილს².

ამგვარი ვითარება სოფლის ბინადართა შორის წარმოშობს აპოკალიფსურ განწყობებს; სჯერათ, რომ მოვიდა განკითხვის ჟამი („ნამდვილად ღვთის რისხვაა!“ – ქუთათელი, 1974, გვ. 8). ის ხილული განსაცდელი, რაც თვალსაწიერში ხდება, ჰბრალდება თანამოსახლეთა ურჯულოებასა და გადაგვარებას, არსებული ან დადგენილი წესების დავიწყებასა თუ უგულებელყოფას („ამიტომაც არის მოწეული ჩვენს თავს ეს ღვთის რისხვა, გვალვა, შიმშილი, ჭირი და ათასი სხვა უბედურება“ – ქუთათელი, 1974, გვ. 9). მომავლის მანიშნებლად მიიჩნევენ ცაზე გამკრთალ უზარმაზარ ზეციურ სხეულს („სწორედ ის კუდიანი ვარსკვლავი გვალვის, წყალდიდობის, ომის, შავი ჭირის, უბედურების და ქვეყნის დაქცევის მომასწავებელია“ – ქუთათელი, 1974, გვ. 13). ირგვლივ დასადგურებულა საშიში მოლოდინის განცდა, ელიან ანტიქრისტესა და მის მბრძანებლობას („ურჯულო გაიმარჯვებს! ანტიქრისტე!“ – ქუთათელი, 1974, გვ. 9); გარდაუვალად მიიჩნევენ სამყაროს დაბნელებას, დედამიწის მცხოვრებთა ურთიერთხოცვასა და მამაკაცთა მოდგმის სრულ გაჟლეტას; იხსენებენ სხვადასხვა ნაწინასწარმეტყველებს, აფრთხობენ ერთმანეთს და ნათქვამის დასტურად მოიხმობენ: დაუსახელებლად და ზოგადად – იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადებას³, ასევე, დაუსახელებლად, მაგრამ ზუსტი დამოწმებით – მათეს სახარებას⁴, ანდა, სახელდებით – გადმოცემას ანდრია სალოსის ირგვლივ⁵.

მაგრამ, ამავე დროს, ეს ის ხანაა, მეოცე საუკუნის დასაწყისი, როცა ქართულ ნიადაგზეც, ისევე როგორც მთელ რუსეთის იმპერიაში, თანდათანობით ღვივდება რევოლუციური მღელვარებანი. მოთხრობის მოქმედების თარიღიც იმგვარადაა შერჩეული, რომ ის სწორედ ერთგვარი შუალედია ორ რევოლუციას შორის (პირველი, 1905-1907 წლებისა, ხოლო მეორე, 1917 წლის თებერვლისა, რომელსაც შემდგომ მოჰყვა ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება).

მართალია, სოფლად მცხოვრებნი ამ დროს მთლიანად მოცული არიან სიახლის დამაბული მოლოდინით, მაგრამ თუ მათი უმრავლესობა შესაძლო სიახლეთაგან სასიკეთოს არაფერს ელის, რაკი სიახლე, სავსებით შესაძლებელია, ნიშნავდეს მომაკვდინებელ საფრთხეს, სიკვდილს, განადგურებას⁶, ამავე დროს, ზოგიერთ იქაურთა – განსაკუთრებით, განათლებულთა და ახალგაზრდათა – შორის დასადგუ-

რებულა განწყობა, რომ ქვეყანა უნდა გარდაიქმნას და რწმენა, რომ, მათი თუ მათნაირთა მოწადინებით, მალე გარდაიქმნება კიდევ.

შესაბამისად, მოთხრობის პერსონაჟები უმთავრესად იყოფა ორ ნაწილად: ერთი მხრივ, რელიგიური განწყობით გამსჭვალული გლეხები, რომლებიც უცდიან აპოკალიფსურ მომავალს, ხოლო, მეორე მხრივ, მათივე თანასოფლელები, რევოლუციური სულისკვეთების პირები (მასწავლებელი, ექიმი, სტუდენტები), რომლებიც აპირებენ დამკვიდრებული წეს-წყობილების შეცვლას, ძალადობრივ დამხობას და ემზადებიან ახალი წესრიგის დასამყარებლად.

სოფლის მასწავლებელი, მიხა წეროძე, და ახალგაზრდობა მოელიან იმგვარ მერმისს, როცა „მშრომელთა“ ერთობლივი მმართველობის შედეგად საყოველთაო თანასწორობა დადგინდება: „უთანასწორობა გაქრება, როდესაც მშრომელი ხალხი თვითონ მოჰკიდებს ხელს თავისი ცხოვრების მართვასა და აშენებას!“ (ქუთათელი, 1974, გვ. 25). მემამოხეთა შეხედულებით, მათი სანუკვარი მიზნის მისაღწევად, – ადამიანთა გასათანაბრებლად, – საჭიროა ძალაუფლების მოპოვება, რადგან ყველა შეძლებულსა და მესაკუთრეს ქონება „ძალით უნდა წართვა“ (ქუთათელი, 1974, გვ. 26). ამგვარი მისწრაფების ადამიანებს ქრისტიანული რელიგია მათი მიზნებისათვის დაბრკოლებად მიაჩნიათ, რაკი თვით იესო ქრისტემაც „არ მოსპო უთანასწორობა [...]. იგი თვლიდა, რომ მდიდრებისა და ღარიბების არსებობის გარეშე ქვეყანა წარმოუდგენელია“ (ქუთათელი, 1974, გვ. 25). თვალსაჩინოა, რომ მათთვის მიუღებელია სარწმუნოება არა მარტო თავისი გამოვლენის სახით, არამედ თავისი არსითაც: „ჩვენი ახალგაზრდობა ღმერთის არსებობას უარჰყოფს. სარწმუნოება ზღაპრად მიაჩნია მას. იგი ამტკიცებს, რომ ღმერთს არ შეუქმნია ქვეყანა, რომ ადამიანია მეფე ბუნებისა, რომ იგი თვითონ არის ღმერთი...“ (ქუთათელი, 1974, გვ. 24).

თავის მხრივ, ქრისტიანობას, ან, უფრო ზუსტად, იმდროინდელ ოფიციალურ, სახელმწიფოებრივ-იმპერიულ ეკლესიას მოთხრობაში წარმოადგენს ხანშიშესული კარისმერეთელი დეკანოზი იაკობ ფხაკაძე, წიგნიერი და გამჭრიახი მღვდელი, რომელიც თავის გარემოში არც საზოგადო-სასულიერო გავლენას მოისაკლისებს: „ფხაკაძე განათლებული კაცი იყო. მას კიევის სასულიერო აკადემია ჰქონდა დამთავრებული და ეპისკოპოსის ტოლ კაცს უწოდებდნენ“ (ქუთათელი, 1974, გვ. 14). თუმცა მისი შინაგანი ცხოვრება სრულებით განსხვავდება იმისაგან, როგორც იგი საკუთარ თავს აჩვენებს ან როგორც მას სხვები ხედავენ: გარდა იმისა, რომ დეკანოზი მთლიანად დაცლილია

ზნეობრივი მუხრუჭებისაგან, მას უარყოფილი აქვს პირადი სარწმუნოებაც („იაკობ ფხაკაძე ორპირი, ურწმუნო და ეშმაკი კაცი იყო“ – ქუთათელი, 1974, გვ. 15), მაგრამ ამის შესახებ არაფერი იციან მისმა თანასოფლელებმა და ირგვლივ მყოფთა შორის მას აღმატებული სახელი, სულიერი ავტორიტეტი მოუპოვებია („ლამაზ და წარმოსადეგ მოხუცს ხალხი წმინდანს უწოდებდა“ – ქუთათელი, 1974, გვ. 15). თავის ნამდვილ ცხოვრებას კი ფხაკაძე საკუთარი „ათი მცნებით“ წარმართავს, რომელსაც სავსებით ეშმაკისეული შინაარსი და მოწოდება აქვს (თუმცა მწერალი მას „იუზუიტურ სიბრძნის კოდექსს“ უწოდებს⁷).

მოთხრობაში ცხადად ჩანს, თუ რამდენად მოხერხებულად იყენებს ეს სამღვდელო პირი, ერთი მხრივ, სხვათა რელიგიურ განწყობებს და, მეორე მხრივ, საკუთარ ცოდნასა თუ უნარებს ადამიანების სამართავად და მათზე ძალაუფლების დასამყარებლად. ამ მიზანსწრაფვის ხორცშესახმელად მას სწორედ სათანადო დროდ მიაჩნია გვალვა, სოფელში წარმოქმნილი ვითარება და, შესაბამისად, თანასოფლელთა აპოკალიფსური მოლოდინები. რაკი დეკანოზმა, მეცნიერული ცოდნის საფუძველზე (გიმნაზიის დირექტორის დახმარებით, – კერძოდ, ბარომეტრის საშუალებით), ზუსტად იცის, თუ რომელ დღეს მოვა წვიმა, მას შესაძლებლობა აქვს, თავისი ეს ცოდნა გამოიყენოს იმისათვის, რათა ჩვეულებრივი, ბუნებისმიერი მოვლენა სასწაულად გამოაცხადოს. ფხაკაძეს მიაჩნია, რომ იმისათვის, რათა ხალხმა არ დაკარგოს სარწმუნოება, ეკლესიისა და მის მსახურთა მიმართ ნდობა, აუცილებელია ამ ხალხის დაჯერება, რომ მოხდა ზებუნებრივი რამ, ღმრთაებრივი ძალის ჩარევა ყოფითობის ბუნებრივ მდინარებაში, – სასწაული: მისი სიტყვებით, „რწმენა სასწაულის გარეშე შეუძლებელია!“ (ქუთათელი, 1974, გვ. 16), „რწმენა სასწაულის გარეშე არ არსებობს“ (ქუთათელი, 1974, გვ. 17), ხოლო მისი თანამოსაუბრე და თანამოაზრე, გიმნაზიის დირექტორი, ალექსი ქვარიანი, ადასტურებს, რომ „სასწაული ათეისტსაც კი არწმუნებინებს ღმერთს“ (ქუთათელი, 1974, გვ. 16).

მღვდელმსახურს ნამდვილად სჯერა, რომ თავად ადამიანებს, – ტანჯვისა და უსასოობის პირობებში, – აუცილებლად სჭირდებათ რწმენა, რისი საფუძველიც უნდა გაამყაროს სასწაულმა: „სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხი ჩვენგან სასწაულს მოითხოვს. ხოლო როდესაც ეს გატანჯული, უმწეო ქმნილებები – ადამიანები შიშით არიან შეპყრობილნი, სწორედ მაშინ იქმნება საჭირო და მადლიანი ნიადაგი რწმენისა და სასწაულისათვის“ (ქუთათელი, 1974, გვ. 17).

ამგვარი შეხედულება მტკიცედ აქვთ გამჯდარი ეკლესიის სხვა მსახურთაც, – ამიტომაც დეკანოზის ორი თანამსახური, მღვდლები მარკოზი და პლატონი, ამგვარივე დარწმუნებით აცხადებენ: „– ხალხი სასწაულს მოითხოვს. – სასწაული თუ არ მოხდა, ეკლესია უნდა დავხუროთ“ (ქუთათელი, 1974, გვ. 18).

მაგრამ რადგან მღვდლები მიწიერი არსებანი არიან, ხოლო მიწიერი არსებანი დამოუკიდებლად ვერასოდეს მოახდენენ სასწაულს, ფხაკაძეს მიაჩნია, რომ სასულიერო პირები იძულებული ხდებიან, თაღლითობის გზით მოატყუონ და დააჯერონ ადამიანები: „დედამიწაზე ქრისტეს ნაცვალნი, მისი მმოსავნი და მსახურნი ეკლესიისა, მოკლებულნი იყვნენ სასწაულის მოხდენის საშუალებას. [...] მათ მოატყუეს ხალხი და ღმერთისადმი ადამიანთა რწმენა საიდუმლოებაზე, სასწაულზე და ავტორიტეტზე დააფუძნეს. დაჰკარგეს რა საშუალება და უფლება სასწაულის მოხდენისა, ისინი იძულებული გახდნენ მიემართათ ტყუილისა, ხერხისა და ცბიერებისათვის... ამას ჩავდივართ ჩვენც! – თქვა დეკანოზმა“ (ქუთათელი, 1974, გვ. 18).

ამდენად, დეკანოზ ფხაკაძის განცხადებით, რწმენა ეფუძნება საიდუმლოებას, სასწაულსა და ავტორიტეტს.

ამ მზაკვრული თვალსაზრისით, რაკი ადამიანების სამართავად აუცილებელია სასწაულის ჩვენება, ხოლო სასწაულის მოხდენა კი აღემატება ბუნებრივ ადამიანურ უნარებს, ამიტომ გარდაუვალია, ამოქმედდეს სიცრუე („ტყუილი“), რომლით სარგებლობისათვის საჭირო ხდება მოხერხება, ცოდნა, უნარი („ხერხი“), მაგრამ სიყალბის მოხმარებისას ხელისშემშლელ დაბრკოლებად არ უნდა აღმოჩნდეს პატიოსნება, ანუ ადვილად უნდა იქნეს გამოყენებული თვალთმაქცობა თუ თაღლითობა („ცბიერება“). ამავე დროს, ტყუილი, მიწოდებული სასწაულის სახით, სარწმუნო ხდება ავტორიტეტის ძალით, რომელიც საბოლოო სიმყარეს ანიჭებს ამ სასწაულს, მაგრამ ეს მოვლენა, რომლის წყარო და საფუძველი უმეტესწილად სრულიად ბუნებრივია, არ უნდა აიხსნას, ხოლო მისი წარმოშობა უნდა დარჩეს დაფარული, დამალული, იდუმალი, ანუ არ უნდა გამომჟღავნდეს, რომ ის ემყარება ტყუილს, ხერხსა და ცბიერებას. შემდგომ, თავის მხრივ, სასწაულის დაჯერებას შედეგად მოჰყვება სარწმუნოების წარმომადგენელთა ავტორიტეტის გაძლიერება, რასაც ემყარება ძალაუფლება.

რამდენადაც იაკობ ფხაკაძე წინასწარ ფლობდა ცოდნას, – მოპოვებულს მექანიკური აპარატის გამოყენებით, – რაც სხვებს არ მოეხსენებოდათ („ეს წვიმა და ღრუბლები ადგილობრივი წარმოშობისა იყო,

ხვალ ისევ გვალვიანი დღე გათენდება“ – ქუთათელი, 1974, გვ. 23), მას საშუალება მიეცა, წმინდა გიორგის ხატის გამოსვენებისა და მის წინაშე ლოცვა-ლიტანიის ჩატარების შემდეგ უცებ წამოსული წვიმა გამოეცხადებინა სასწაულად, რომელიც უეჭველად ირწმუნა მრევლმა. ხოლო შემდგომ, როცა წვიმა მალევე შეწყდა და ირგვლივ ისევ გვალვამ დაისადგურა, ხელახლა მობრუნებული განსაცდელი აიხსნა იმგვარად, რომ ის იყო შედეგი იმ ცოდვისა, რომელიც ეკლესიის გატეხით ჩაიდინეს ყაჩაღებმა, რაც თავად დეკანოზის მიერ იყო წინასწარ დაგეგმილი. ამდენად, გვალვის დაბრუნებაც შეფასდა სასწაულად, რადგანაც ის მიჩნეული იქნა სასჯელად ჩადენილი მკრეხელობის გამო. მღვდელმსახურის მზაკვრული ჩანაფიქრი საგულდაგულოდ იყო გათვლილი და დაგეგმილი: „განა არ შეიძლება ხალხის დარწმუნება, რომ ახალგაზრდობის უზნეობის, ღვთის შეგინების, გაუგონარი მკრეხელობისა და ეკლესიის გამარცვის სურვილის გამო, წმინდა გიორგი განრისხდა და უბრძანა ღრუბლებს, გაბნეულიყვნენ?..“ (ქუთათელი, 1974, გვ. 23).

რაც შეეხება რევოლუციური განწყობისა და მოლოდინის ახალგაზრდებს, მათ მყარად სჯერათ, რომ მალე, ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის შედეგად, ისინი სასწაულის საცდურისაგან გაათავისუფლებენ ადამიანებს, რომელთა აუცილებელი გამოფხიზლების შემდეგ რელიგიური ბანგისაგან (რელიგიის მარქსისტული განმარტების მიხედვით) გაუძღვებიან მათ, ხოლო ისინი – ახალი წინამძღოლნი – სანუკვარ ძალაუფლებას მოიპოვებენ: „მალე იგრიალეებს ქარიშხალი, ძველ კერპებს დაამხობს და ხალხი აღარ დაუჯერებს სასწაულებს. ისინი თავს დააღწევენ რელიგიურ თრობას და ჩვენ გამოგვყვებიან, ახალი და ნორჩი დასჯაბნის ძველს!“ (ქუთათელი, 1974, გვ. 22).

მანამდე კი, სასწაული, რომელიც თავისი არსით იდუმალია, რადგან მისი ბუნებრივი ახსნა გლეხებს შეუძლებლად მიაჩნიათ თავიანთი უცოდინარობის გამო, საშუალებას აძლევს დეკანოზ იაკობ ფხაკაძეს, არაფერი ემუქრობოდა მის ავტორიტეტს, რაც მას უქმნის შესაძლებლობას, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ძალაუფლება.

როგორც ჩანს, ალექსანდრე ქუთათელის „გვალვის“ ეს პერსონაჟი, რომელიც აცხადებს, რომ სარწმუნოება დაფუძნებულია „საიდუმლოებაზე, სასწაულზე და ავტორიტეტზე“ (ქუთათელი, 1974, გვ. 18), მისდევს რელიგიის იმგვარ გაგებას, როგორსაც ემყარება დიდი ინკვი-

ზიტორი, – მოქმედი პირი ფიოდორ დოსტოევსკის (1821-1881) რომანიდან „ძმები კარამაზოვები“ („Братья Карамазовы“, 1880).

ესპანელი ინკვიზიტორი რომანში მონაწილეობს არა უშუალოდ, – იგი ჩნდება მხოლოდ წიგნში ჩართულ ზეპირ მოთხრობაში თუ იგავში („პოემაში“), რომლის ავტორობა მიეწერება ნაწარმოების ერთ-ერთ პერსონაჟს, ღმრთისმებრძოლსა და, ამასთანავე, ღმრთისმადიებელს, ივან კარამაზოვს, რომელიც მის მიერ შეთხზულ ამ ამბავს დუქანში უყვება თავის ძმას, მონასტრის მორჩილს, ღრმად მორწმუნე ახალგაზრდა ალექსეი კარამაზოვს, ალიოშას.

ამ „პოემის“ მიხედვით, ქვეყნად ხელახლა მოსული იესო ქრისტე, – მოქმედება ხდება სევილიაში, ესპანეთში, მეთექვსმეტე საუკუნეში, – ინკვიზიციის ციხეში აღმოჩნდება ქალაქში გაშლილი საქმიანობის გამო, რაც ისევ ადამიანების მიმართ უსაზღვრო სიყვარულსა და სასწაულებრივ სამსახურში – სწელთა გამოჯანმრთელებასა და მკვდართა გაცოცხლებაში – გამოიხატა. სიკვდილით მოსალოდნელ დასჯამდე მას საკანში სასაუბროდ ესტუმრება ღრმად მოხუცი დიდი ინკვიზიტორი, მაგრამ აღმოჩნდება, რომ იესო მხოლოდ უსმენს ინკვიზიტორის ხანგრძლივ მონოლოგს და არ აპირებს, პასუხი გასცეს მას. საბოლოოდ, ქრისტე უხმოდ აკოცებს მოხუცს, რომელიც გაუღებს მას დილეგის კარს და მოითხოვს მისგან, არასოდეს დაუბრუნდეს ადამიანებს.

მთავარი საყვედური, რასაც ინკვიზიტორი წარუდგენს იესოს, ისაა, რომ მან ადამიანებს მიანიჭა თავისუფლება, რითაც მათთვის სრულიადაც არ მოუტანია ბედნიერება: „რადგან არაფერი და არასოდეს არ ყოფილა ადამიანისა და ადამიანური საზოგადოებისათვის უფრო აუტანელი, ვიდრე თავისუფლება“ (დოსტოევსკი, 1976, გვ. 230).

იგი ცდილობს, აუხსნას ქრისტეს, თუ რა არის ადამიანთა ნამდვილი მოთხოვნილება და რა სჭირდებათ მათ ბედნიერების განსაცდელად: რომ ადამიანმა უნდა დაძლიოს შიმშილი, დაპურდეს, ხოლო ამისათვის იგი თანახმაა, უარი თქვას თავისუფლებაზე, რადგან თავისუფალი ადამიანი ვერასოდეს გაძლება. კიდევ, ადამიანს სჭირდება არსება, რომელსაც უნდა ეთაყვანებოდეს და ენდობოდეს (მაგრამ არა მარტოხელად, არამედ სხვებთან ერთად, ერთობლივად), რომლის ნება-სურვილსაც უნდა ასრულებდეს და რომლის იმედიც მას უნდა ჰქონდეს, – უნდა სჯეროდეს, რომ იგი მფარველობას აღმოუჩენს ყოველგვარი განსაცდელისას. სწორედ ამისათვის არიან საგანგებო პირე-

ბი, რომლებიც ფლობენ ძალაუფლებას, რათა ადამიანები უზრუნველ-
ყონ საკვებით, განცხრომითა და უსაფრთხოებით.

დიდი ინკვიზიტორი არწმუნებს იესოს, თუ რამდენად მნიშვნე-
ლოვანი და გადამწყვეტია მორწმუნეთა რელიგიურ ცხოვრებაში და,
ასევე, ადამიანთა მართვის საქმეში სასწაული, რომელსაც უპირატე-
სობაც კი ენიჭება ღმრთის აღიარებასთან შედარებით: „როგორც კი
ადამიანი უარყოფს სასწაულს, უმალ უარყოფს ღმერთსაც, რადგან
ადამიანი ეძებს არა იმდენად ღმერთს, რამდენადაც სასწაულებს“
(დოსტოევსკი, 1976, გვ. 233).

მაგრამ ამჯერადაც, სასწაული ემყარება ტყუილს, სიცრუეს, ხო-
ლო იგი, ვინც მას იყენებს ძალაუფლების დასამყარებლად და გასამყა-
რებლად, სარგებლობს ადამიანთა უცოდინარობით: „ჩვენ დავთანხ-
მდებით, ავიტანოთ თავისუფლება და ვიბატონოთ მათზე, – ბოლოს
იმდენად საშინელი გახდება მათთვის თავისუფლად ყოფნა. მაგრამ
მათ ვეტყვით, რომ შენი მორჩილი ვართ და შენი სახელით ვბატო-
ნობთ. ისევ მოვატყუებთ მათ, [...] რადგან ჩვენ უნდა ვიცრუოთ“ (დოს-
ტოევსკი, 1976, გვ. 231).

ამდენად, ადამიანების დასამორჩილებლად და მათი მხრივ ერთ-
გულების გასამყარებლად მმართველები უნდა იყენებდნენ სასწაულს,
დაფუძნებულს ტყუილზე, რაც, რა თქმა უნდა, ადამიანების ცხოვრე-
ბიდან გამორიცხავს თავისუფლებასა და არჩევანს: „არსებობს სამი ძა-
ლა, ერთადერთი სამი ძალა ამ ქვეყნად, რომელთაც შეუძლია სამუდა-
მოდ გაიმარჯვოს და დაიმონოს ამ სუსტი ნებისყოფის ამბოხებულთა
სინდისი, – მათი ბედნიერებისათვის. ეს ძალებია: სასწაული, საიდუმ-
ლოება და ავტორიტეტი“ (დოსტოევსკი, 1976, გვ. 232).

დიდი ინკვიზიტორი ასე აღუწერს ამ მმართველთა საქმიანობას,
მიზანსა და ხერხებს საუკუნეების განმავლობაში: „ჩვენ ნება გვქონდა,
გვექადაგა საიდუმლო და გვესწავლებინა მათთვის, რომ მნიშვნელო-
ვანია არა მათი გულების თავისუფალი გადაწყვეტილება და არც სიყ-
ვარული, არამედ საიდუმლო, რომელსაც ისინი ბრმად უნდა დაემორ-
ჩილონ, თვით მათი სინდისის მიღმა. ჩვენ ასეც მოვიქცით. ჩვენ შე-
ვასწორეთ შენი თავდადება და დავაფუძნეთ ის *სასწაულზე, საიდუმ-
ლოებაზე, ავტორიტეტზე*. და ადამიანებს გაუხარდათ, რომ მათ კვლავ
გაუძღვნენ როგორც ფარას და რომ მათი გულებიდან საბოლოოდ
მოიხსნა აგრერიგად საშინელი ძღვენი, რამაც მათ ამდენი ტანჯვა
მოუტანა“ (დოსტოევსკი, 1976, გვ. 234).

თვალსაჩინოა, რომ სულიერ ცხოვრებას ენაცვლება სასწაული, ჭეშმარიტებას – საიდუმლოება, ხოლო თავისუფლებას – ავტორიტეტი.

ცხადია, რომ დიდმა ინკვიზიტორმა, მისმა მიმდევრებმა რელიგიის სახელით უარი თქვეს რელიგიაზე, ქრისტეს სახელით უარყვეს ქრისტე...

ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ქუთათელის მოთხოვნაში „გვალვა“ დეკანოზ იაკობ ფხაკაძის მსჯელობა საიდუმლოების, სასწაულისა და ავტორიტეტის ირგვლივ ეფუძნება დოსტოევსკის „პოემას“ დიდი ინკვიზიტორის შესახებ, რომელიც ცალკე თავადაა ჩართული რომანში „ძმები კარამაზოვები“.

ოღონდ უნდა დაზუსტდეს, რომ ის, რასაც დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორი ნაწარმოებში მხოლოდ მსჯელობის საგნად აქცევს (თუმცა, სავარაუდოდ, ამ წესითვე ცხოვრობს და, საფიქრებელია, ამგვარადვე წარმართავს თანამოქალაქეთა ყოფას, მაგრამ რომანის მკითხველი მოვლენათა აღწერას ვერ ხედავს), დეკანოზი იაკობ ფხაკაძე ყოველდღიურ გარემოში – კარისმერეთის მოსახლეობას შორის – განახორციელებს დაუბრკოლებლად და შეუეჭვებლად.

მართალია, „ძმები კარამაზოვების“ ეს მონაკვეთი მისი გამოქვეყნების დროიდანვე იპყრობდა მკითხველთა, მწერალთა, ლიტერატურის მკვლევართა, ფილოსოფოსთა თუ თეოლოგთა განსაკუთრებულ ყურადღებას, ხოლო ამგვარ გამოხმაურებათა რიცხვი ნამდვილად დაუთვლელია, მაინც პირველი, ვინც საგანგებო ყურადღება მიაპყრო „ლეგენდას დიდ ინკვიზიტორის შესახებ“ და საგანგებო წიგნი მიუძღვნა მას, იყო ვასილი როზანოვი (1856-1919). მისი მოზრდილი ნაშრომი – „ფ. მ. დოსტოევსკის ლეგენდა დიდი ინკვიზიტორის შესახებ“ („Легенда о Великом инквизиторе Ф. М. Достоевского“, 1894 – როზანოვი, 2014, გვ. 13-162) – ავტორის სიცოცხლეში არაერთხელ გამოქვეყნდა (ბოლოს 1906 წელს).

ფაქტობრივად, ამ წიგნმა, რომელშიც გადმოცემულია „პოემის“ სავსებით ახლებური და უჩვეულო ინტერპრეტაცია, სათავე დაუდო არა მარტო როზანოვის საჯარო აღიარებას, არამედ სახელი გაუთქვა რომანის ამ ჩართულ მონაკვეთსაც და ის ხანგრძლივ სამსჯელო საგნად აქცია.

გასათვალისწინებელია, რომ ნაშრომში დოსტოევსკისეული ლეგენდა ავტორმა მჭიდროდ დაუკავშირა აპოკალიფსურ განწყობებს და საკუთარი ტექსტი დატვირთა არაერთი დამოწმებით იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადებიდან.

როზანოვის სიტყვებით, ისტორიული გარდატეხის ხანაში ადამიანი განსაკუთრებით მგრძნობიარეა სასწაულის მიმართ და დაძაბულად ელოდება მას: „უღმერთობის ხანაში ადამიანებს ყური აქვთ მიპყრობილი ყოველივე უჩვეულოს, განსაკუთრებულის მიმართ, იმის მიმართ, სადაც დარღვეული ჩანს ბუნების კანონი. შეიძლება ითქვას, ამგვარ დროს არაფერს ეძებენ ისეთი მონდომებით, როგორც სწორედ სასწაულებრივს“ (როზანოვი, 2014, გვ. 88).

უნდა ითქვას, სულაც არაა გამორიცხული, რომ ვასილი როზანოვის ამ გახმაურებულ ნაშრომს, როზანოვისეულ ინტერპრეტაციას იცნობდა ალექსანდრე ქუთათელი და, შესაძლოა, – პირველწყაროს, ანუ თავად რომანის გარდა, – სწორედ ამ წიგნის გამომცხილი შეიმჩნეოდეს „გვალვის“ ავტორის მიერ როგორც დოსტოევსკისეული პერსონაჟის აღთქმისას, ისე დეკანოზ ფხაკაძის სახის ჩამოყალიბებისას. ფაქტია, რომ როზანოვმა, ზოგადად, და ამ წიგნმა, კერძოდ, შესამჩნევი გავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის მოდერნისტულ კულტურაზე და, საფიქრებელია, არც ამ ეპოქის ქართველი მწერლებისათვის უნდა დარჩენილიყო უცნობი⁸.

„გვალვის“ მოქმედი პირი, დეკანოზი იაკობ ფხაკაძე, დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორის კვალად, თავისი ცოდნის საშუალებით, – რომელსაც სასწაულად წარმოადგენდა, – აპირებდა ადამიანების მართვას, ძალაუფლების შენარჩუნებასა და ეკლესიის მიმართ მათი ერთგულების გამყარებას. თუმცა, საბოლოოდ, მისი მცდელობა და საქმიანობა მაინც უშედეგოდ დამთავრდა...

მოთხრობის მოკლე ეპილოგში, რომლითაც მთავრდება ნაწარმოების ბოლო გამოქვეყნებული ავტორისეული ვერსია (1974), ხელისუფლების მოპოვებისათვის მებრძოლ მემბოხეებს გამარჯვებისათვის მიუღწევიათ და ქვეყანაში კომუნისტური მმართველობა დამკვიდრებულა: „ძალაუფლებაც და მიწაც აჯანყებულ ხალხის ხელში გადავიდა“ (26), თავად ეს მოვლენა კი სასწაულს უტოლდება („რაც მათ წინათ სასწაულად მოეჩვენებოდათ“ – 26). მართალია, თავად მემბოხეები ადრეული ბრძოლისას სასწაულის გაუქმებას ისახავდნენ მიზნად („ხალხი აღარ დაუჯერებს სასწაულებს“ – 22), რათა ხალხი რევოლუციონერებს გაჰყოლოდა, მაგრამ ახლა სასწაულის ადგილი დაუკავებია იმდროინდელ ტექნოლოგიურ ცოდნას (იგულისხმება „გლეხების მიერ გაშენებული სარწყავი არხი“ – 26), რამაც გვალვისაგან დაიხსნა კარისმერეთელები და რასაც, როგორც ჩანს, შიმშილის საფრთხისაგან გადარჩენა და ადამიანების დაპურება მოჰყოლია (ადრე ტექნოლო-

გიურ ცოდნას მხოლოდ დეკანოზი ვხაკაძე ფლობდა). ამ დროს უკვე აღარავინ ელოდება რელიგიურ სასწაულს, ანუ ხსნას, მოტანილს სიწმიდის თაყვანისცემის საშუალებით: „გვალვის დროს ლიტანია, წმინდა გიორგის ხატის გასვენება და მისი განზანა დღეს არავის აზრად არ მოუვა“ (26). შესაბამისად, როგორც ჩანს, ბოლშევიკების ბატონობისას სასწაულის საჭიროება გაუქმებულა, ხოლო ადამიანთა აპოკალიფსური მოლოდინები გაქარწყლებულა ან გაუჩინარებულა.

შენიშვნები:

1. არსებობს მოთხრობის ადრეული, უფრო მოკლე ვერსიის გამოცემებიც, მაგალითად: ქუთათელი, 1956, გვ. 79-97.

2. „კიდევაც რომ მოკვდეს, სხვა გზა არ არის, ყანა ხომ უნდა გათოხნოს“ (ქუთათელი, 1974, გვ. 7), ამბობს გულქანი თავისი ვაჟის, დაუძლურებული პალიკოს, შესახებ.

3. „გამოცხადებამ წმიდისა მახარებელისა და ღმრთისმეტყველისა იოვანესი“ (ახალი აღთქუმა, 2017, გვ. 437-461).

4. „გვალვა“: „ხოლო მეყვსეულად, შემდგომად ჭირისა მას მათ დღეთასა, მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი, და ვარსკვლავნი დამოსცვივდიან ზეცითაც, და ძალნი ცათანი შეიძრნენ“ (ქუთათელი, 1974, გვ. 10); მათეს სახარება, 24:29: „ხოლო მეყვსეულად, შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთასა, მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი, და ვარსკვლავნი დამოცვივენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ“ – „სახარება მათჴს თავისად“ (ახალი აღთქუმა, 2017, გვ. 104); შდრ. მარკოზის სახარება, 13:24-25 – „სახარება მარკოზის თავისად“ (ახალი აღთქუმა, 2017, გვ. 136-137).

5. „ვინ დაწერა? – ანდრია სალოსმა“ (ქუთათელი, 1974, გვ. 9) – როგორც ჩანს, იგულისხმება ეგრეთ წოდებული „ანდრიას აპოკალიფსი“, რომელიც „წმიდა ანდრია სალოსის ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილია (დაწერილია დაახლოებით მეათე საუკუნეში); ბერძნული ტექსტი და გამოკვლევა მის შესახებ: რიდენი, 1995; ტექსტის ქართული ვერსიების შესახებ: გაბიძაშვილი, 2004, გვ. გვ. 135-136.

6. რუსეთის იმპერიაში გავრცელებულ აპოკალიფსურ განწყობათა და მათი წარმოშობისა თუ წინამორბედების შესახებ: კლუი, 2000, გვ. 293-321.

7. კომუნისტურ-საბჭოთა იდეოლოგია ასე განმარტავდა სალექსიკონოდ იეზუიტს (გადატანითი მნიშვნელობით): „ფლიდი, ორპირი, ცბიერი ადამიანი“.

8. ალექსანდრე ქუთათელის უმცროსი თანამედროვის, აკაკი გაწერელიას, დამოკიდებულების შესახებ ვასილი როზანოვის მიმართ: ლაღანიძე, 2011, გვ. 418.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ახალი აღთქუმაჲ (2017). ძველი ქართული ახალი აღთქუმაჲ სქოლიოებით, თბილისი.
- გაბიძაშვილი, ე. (2004). ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბილისი.
- ქუთათელი, ა. (1956). მოთხრობები, თბილისი: საბჭოთა მწერალი.
- ქუთათელი, ა. (1974). თხზულებანი: 4 ტომად, ტომი III, თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- ღაღანიძე, მ. (2011). ვასილი როზანოვი ქრისტიანობის გალავანს მიღმა, წგ-ში: ღაღანიძე მ. მწერლის ცხოვრება დროში და სიტყვაში, თბილისი: მემკვიდრეობა.
- Clay J. E. (2000). Apocalypticism in Eastern Europe, in: *The Encyclopedia of Apocalypticism, Vol. 3: Apocalypticism in the Modern Period and the Contemporary Age*, New York/London: Continuum.
- Rydén, L. (1995). *The Life of St. Andrew the Fool*, Edited by L. Rydén, Uppsala, Vol. 1-2.
- Достоевский, Ф. М. (1976). Братья Карамазовы, в.: Достоевский, Ф. М. Полное собрание сочинений: в тридцати томах, Том XIV, Ленинград: Наука.
- Розанов, В. В. (2014). Легенда о Великом инквизиторе Ф. М. Достоевского, в: Розанов, В. В. Полное собрание сочинений: в 35 томах, Том 1, Санкт-Петербург: Росток.

References:

- Akhali aghtkumai. (2017). *Dzveli kartuli akhali aghtkumai sk'olioebit* [The New Testament: Old Georgian New Testament with footnotes]. Tbilisi.
- Clay, J. E. (2000). Apocalypticism in Eastern Europe. In *The encyclopedia of apocalypticism, Vol. 3: Apocalypticism in the Modern Period and the Contemporary Age*, New York/London: Continuum.
- Dostoyevskiy, F. M. (1976). *Brat'ya Karamazovy*. In *Dostoyevskiy, F. M. Polnoye sobraniye sochineniy: v tridtsati tomakh* (Vol. XIV) [*The Brothers Karamazov*, in: *Dostoevsky, F. M. Complete works: In thirty volumes, Volume XIV*]. Leningrad: Nauka.
- Gabidzashvili, E. (2004). *Kartuli natargmni hagiograpia* [Georgian translated hagiography]. Tbilisi.

- Ghaghanidze, M. (2011). *Vasili Rozanovi kristianobis galavans mighma*. In *Ghaghanidze, M. Mts'erlis tskhovreba droshi da sit'q'vashi* [Vasili Rozanov beyond the wall of Christianity, in: Writer's life in time and words]. Tbilisi: Memk'vidreoba.
- Kutateli, A. (1956). *Motkhroebi* [Stories]. Tbilisi: Sabch'ota Mts'erali.
- Kutateli, A. (1974). *Tkhzulebani: 4 t'omad, t'omi III* [Works: In 4 volumes, Volume III]. Tbilisi: Sabch'ota Sakartvelo.
- Rozanov, V. V. (2014). *Legenda o Velikom inkvizitore F. M. Dostoyevskogo*. In *Rozanov, V. V. Polnoye sobraniye sochineniy: v 35 tomakh* (Vol. 1) [*The Legend of the Grand Inquisitor F. M. Dostoevsky*, in: *Rozanov, V. V. Complete works: In 35 volumes, Volume I*]. Sankt-Peterburg: Rostok.
- Rydén, L. (1995). *The Life of St. Andrew the Fool*, Edited by L. Rydén, Uppsala, Vol. 1-2.